საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მე -5 კომპონენტის (1-2 დონის მოდულის პილოტირება პროფესიული ორიენტაციისთვის სოფლის მეურნეობის მოსამზადებელ კურსებში და სხვა სახელობო სფეროებში) ფარგლებში **მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის შერჩევის მიზნით.**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 25 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 30 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტი“,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა **– 2**;

კონკურსის შედეგად, მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, თითოეულ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 1250 ლარის ოდენობით.

მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარების გამოცდილება;
გ) ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების გამოცდილება;
დ) კვლევითი ანგარიშების მომზადების გამოცდილება.

მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კურსთან დაკავშირებული მოლოდინებისა და განწყობების შესწავლა და პროგრამამდელი მონაცემების შეგროვება.
ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელ კურსზე დაკვირვება და პროცესის მიმდინარეობის შესახებ კვლევითი მონაცემების შეგროვება, დაკვირების შედეგად გამოკვეთილი დასაზუსტებელი საკითხების შესახებ მასწავლებლებისა და სხვა ჩართული პირების ინტერვიუირება;
გ) საორინეტაციო და მოსამზადებელი კურსის დასრულების შემდეგ, პროგრამამდელი მონაცემების შედარება პროგრამის შემდგომ მონაცემებთან;
დ) ფოკუს ჯგუფების და/ან ინტერვიუების ჩატარება საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ჩართულ მხარეებთან (მშობლები, მოსწავლეები, პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაცია, პედაგოგები);

ე) შეგროვებული მასალის ანალიზსა და ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა გამოაგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.